საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2013

საჩივრის რეგისტრაციის №065/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. პ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. პ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 12 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. პ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ი. პ. მისი ძმის, დ. ბ.-ის სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის სტატუსით 2013 წლის აპრილში ჩაერთო საზოგადოებრივი ადვოკატის სახით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ი. პ.-ს ძირითადად ურთიერთობა ჰქონდა საჩივრის ავტორის მამასთან, ა. ბ.-სთან. იმ პერიოდში მის ძმას, დ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ი. პ.-მა დაცვის განხორციელებისას არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კერძოდ, იგი არ ინტერესდებოდა საქმის მასალების შესწავლით და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, არ უზრუნველყო საქმეზე მოწმეთა დაკითხვა, არ დააყენა შუამდგომლობა გამომძიებლის მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმების მტკიცებულებებად არ დაშვების თაობაზე. ადვოკატის სამართლებრივი მომსახურება შემოიფარგლებოდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებით.

2. მოწმე ა. ბ.-ის პოზიცია:

2.1 მოწმე ა. ბ.-ის განცხადებით, წლების მანძილზე მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, საიდანაც უკანონოდ გაათავისუფლეს. იგი დარწმუნებული იყო თავისი შვილის უდანაშაულობაში. როგორც ა. ბ. აცხადებდა, წლების განმავლობაში მის ოჯახს დევნიან პოლიტიკური შეხედულების გამო და მისი შვილის სისხლის სამართლის საქმეც დაკავშირებულია აღნიშნულ დევნასთან.

2.2 მოწმე ადასტურებს, რომ ადვოკატი ი. პ. არ ინტერესდებოდა საქმის მასალების შესწავლით, მათი ურთიერთობის განმავლობაში ადვოკატი მხოლოდ ერთხელ დაუკავშირდა და შეხვედრების დროს ადვოკატისთვის უცნობი იყო საქმის მიმდინარეობა.

2.3 მოწმის განცხადებით, შეხვედრებისას ადვოკატი მხოლოდ საპროცესო შეთანხმებას სთავაზობდა. მოწმის მოსაზრებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით შესაძლებელი იყო დ. ბ.-ის უდანაშაულობის დამტკიცება, თუმცა ადვოკატმა უარი განუცხადა მისულიყო შემთხვევის ადგილზე.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატ ი. პ.-ს არ მოუთხოვია გამომძიებლის მიერ დაკითხული ყველა მოწმის სასამართლო პროცესზე ხელახალი დაკითხვა, რაც დაეხმარებოდა დაცვის მხარეს გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანაში.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ი. პ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 24 ივნისს, სადაც განმარტა, რომ ი. ბ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3.2 ადვოკატის განცხადებით, მის სამუშაო ადგილს წარმოადგენს იურიდიული დახმარების აჭარის ბიურო, სადაც დ. ბ.-ის საქმე მას 2013 წლის 08 აპრილს დაეწერა. საქმის წარმოება დაწყებული იყო 2013 წლის 12 მარტს. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილებიდან გადმოგზავნილი მომართვის საფუძველზე, გამოძიება მიმდინარეობდა ხ. დ.-ის და თ. ბ.-ის სხეულის დაზიანების ფაქტზე, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 125-ე მუხლებით. აღნიშნულ მომართვაში ასევე მითითებული იყო რომ ბრალდებულ დ. ბ.-ს გამოხატული ჰქონდა საპროცესო შეთანხმების დადების სურვილი და ადვოკატის დანიშვნის საფუძველს ბრალდებულის გადახდისუუნარობა წარმოადგენდა.

3.3 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომელიც საქმის მასალების გაცნობას უკავშირდება და აღნიშნავს, რომ საქმის შესწავლის მიზნით შეხვდა საქმის მწარმოებელ პროკურორს - ზ. კ.-ს, რომლისგანაც მოითხოვა საქმის მასალების გადმოცემა, პროკურორის განცხადებით საქმის მასალები გადაცემული იყო ბრალდებულისთვის. საქმის ვითარებაზე ადვოკატმა გაარკვია, რომ ბრალდებული უარყოფდა მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას. 2013 წლის 01 აპრილს დ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო 2 000 ლარის ოდენობით, გადახდის ვადად განსაზღვრული იყო 25 დღე. პროკურორისგან ბრალდებულის და მისი მამის ა. ბ.-ის საკონტაქტო ტელეფონის ნომრების მიღების შემდეგ, ადვოკატმა შეძლო მათთან დაკავშირება, თავი გააცნო როგორც სისხლის სამართლის საქმის ადვოკატმა, მოითხოვა მათთან შეხვედრა და საქმის მასალების გადმოცემა, რაზეც შეთანხმდნენ, თუმცა მასალების გადმოცემა გაჭიანურდა. საბოლოოდ საქმის მასალები ადვოკატ ი. პ.-ს ბრალდებულის მამამ ა. ბ.-მ გადასცა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, გასაუბრებისას ა. ბ.-მ განაცხადა, რომ წლების მანძილზე მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, საიდანაც უკანონოდ გაათავისუფლეს. იგი დარწმუნებული იყო თავისი შვილის უდანაშაულობაში. როგორც ა. ბ. აცხადებდა, წლების განმავლობაში მის ოჯახს დევნიან პოლიტიკური შეხედულების გამო და მისი შვილის სისხლის სამართლის საქმეც დაკავშირებულია აღნიშნულ დევნასთან. ადვოკატის განცხადებით, შეხვედრისას ა. ბ.-ს განუმარტა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ გამოძიებისთვის გამამართლებელი მტკიცებულებები ან პირები, რომლებიც დაადასტურებდნენ მისი შვილის, დ. ბ.-ის უდანაშაულობას. ასევე ა. ბ.-ს განუცხადა, რომ საქმის მასალების შესწავლის შემდეგ შეაჯერებდნენ და შეიმუშავებდნენ დაცვის სტრატეგიას. ადვოკატმა ა. ბ.-ს განუმარტა დ. ბ.-ისთვის ბრალად წარდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი და ალტერნატიული სასჯელის სახეები, რომლებსაც ითვალისწინებდა აღნიშნული მუხლები. ადვოკატის განცხადებით, ა. ბ.-ს ასევე განემარტა საპროცესო შეთანხმების დადების სამართლებრივი მექანიზმი და შესაძლებლობა. ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების ხსენებამ ა. ბ.-ის გაღიზიანება გამოიწვია. როგორც ა. ბ. აცხადებდა მისი შვილი უდანაშაულო იყო და საპროცესო შეთანხმებაზე საუბარს ზედმეტად მიიჩნევდა.

3.5 ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბრალდებულს დაზარალებულებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად, სხვა გარეშე თვითმხილველი პირებიც, მათი საერთო მეზობლებიც ამხელდნენ დანაშაულის ჩადენაში და ბრალდების მხარეს გააჩნდა საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდების დასადასტურებლად. ადვოკატის განცხადებით, ა. ბ.-ს მეორე შეხვედრის დროს განუმარტა საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე შექმნილი ვითარება, აუხსნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილის და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები განეკუთვნებიან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, გააჩნიათ ალტერნატიული სასჯელები და არსებობს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა. როგორც ადვოკატი განმარტავს, აღნიშნულმა კვლავ გამოიწვია ა. ბ.-ის გაღიზიანება და განაცხადა: ,,შენ რა მეორე

პროკურორი ხომ არ ხარ?! რა საპროცესო, რის საპროცესო, ეს ყველაფერი მოწყობილია, ჩემი შვილი ესეთ ქმედებას არასოდეს ჩაიდენს და თუ დამტკიცდება, რომ მან ეს ჩაიდინა, მაშინ ღირსია და სასჯელიც უნდა მოიხადოს''. აღნიშნულის შემდეგ მხარეებს საპროცესო შეთანხმებაზე აღარ უსაუბრიათ.

3.6 ადვოკატის განცხადებით, ა. ბ.-სთან შეთანხმდა, რომ სადავოდ გახდიდნენ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და მათ მიზანს წარმოადგენდა გამამართლებელი შედეგის მიღწევა. ადვოკატის განცხადებით, პირველი შეხვედრისთანავე ა. ბ.-ს შეეტყო ადვოკატის მიმართ უნდობლობითა და აგრესიით განწყობა. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი მექანიზმების და შესაძლებლობის განმარტებით, ვინაიდან პიროვნება დარწმუნებით აცხადებდა და სჯეროდა, რომ მისი შვილი ესეთ ქმედებას არ ჩაიდენდა.

3.7 ადვოკატის განცადებით, მოგვიანებით იგი თავად ბრალდებულსაც შეხვდა. შეხვედრისას დ. ბ.-მ განუმარტა, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად წარდგენილი ქმედება და იგი მხოლოდ აშველებდა ინციდენტში მონაწილე პირებს. ადვოკატმა მასაც განუმარტა წარდგენილი მუხლებით გათვალისწინებული სასჯელი და ალტერნატიული სასჯელები, ასევე საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა და სამართლებრივი მექანიზმი, რაც ადვოკატის განცხადებით, მამა-შვილმა ჩათვალეს მხოლოდ და მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებად. ადვოკატმა დ. ბ.-ს განუმარტა გამამართლებელი მტკიცებულებების ან იმ პირების წარმოდგენის შესაძლებლობა, რომლებიც დაადასტურებდნენ მის უდანაშაულობას. ადვოკატის განმარტებით, მისთვის არც ბრალდებულს და არც სხვა პირს არ გადაუცია რაიმე სახის მტკიცებულება, არც შესაძლო მტკიცებულებაზე რაიმე სახის ინფორმაცია მიუღია. ადვოკატს დამოუკიდებლად არ შეეძლო მსგავსი მტკიცებულებების მოპოვება, ამის გამო დაცვის მხარეს მტკიცებულებები არ ჰქონდა წარმოდგენილი. შესაბამისად, ადვოკატი კატეგორიულად უარყოფს მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებულ პრეტენზიას.

3.8 ადვოკატის განცხადებით, გარკვეული დროის შემდეგ ა. ბ. შეუთანხმებლად გამოცხადდა ადვოკატის ოფისში, იმ დროისთვის ადვოკატს სასამართლო პროცესი ჰქონდა, ამ მიზეზით მათი საუბარი იყო ხანმოკლე, რის გამოც ა. ბ.-მ უკმაყოფილება გამოთქვა. ადვოკატმა შეახსენა ა. ბ.-ს გირაოს სახით განსაზღვრული თანხის შეტანის ვადაზე და განუმარტა, რომ თუ მოცემულ ვადაში გირაოს ვერ გადაიხდიდნენ, დ.ბ.-ს გირაო პატიმრობით შეეცვლებოდა. აღნიშნულზე ა. ბ.-მ განაცხადა, რომ არ გააჩნდა შესაბამისი სახსრები, თანხის შეტანას არ აპირებდა, რადგან მისი შვილი იყო უდანაშაულო. ადვოკატმა მაინც ურჩია გამოენახა შესაბამისი საშუალებები გირაოს თანხის შესატანად. ადვოკატის განცხადებით, მოგვიანებით შეიტყო, რომ ა. ბ.-მ გირაოს თანხა ბოლო დღეს 25 აპრილს შეიტანა ადვოკატისთვის შეტყობინების გარეშე.

3.9 ადვოკატის განცხადებით, გამართულ წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ სადაოდ ცნო ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება და მოითხოვა მათი გამოკვლევა არსებითი განხილვის დროს.

3.10 ადვოკატის განმარტებით, მოგვიანებით ერთ-ერთი შეხვედრისას ა. ბ.-მ განუცხადა, რომ ჰყავდა ნაცნობი ადვოკატი, აპირებდა მის აყვანას და შესაძლო იყო მისი ჩართვა საქმეში. ა. ბ.-მ ჰკითხა ადვოკატს მისთვის აღნიშნული უხერხული ან საწყენი ხომ არ იქნებოდა. ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს ბრადებულის უფლება იყო და როგორც თვითონ ჩათვლიდნენ საჭიროდ ისე უნდა მოქცეულიყვნენ. ადვოკატმა ისიც აუხსნა, რომ გადაიღებდა მისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო და აუცილებელ მასალებს, რის შემდეგაც ნებისმიერ დროს მოთხოვნისთანავე გადასცემდა მათ საქმის მასალებს. ადვოკატის განმარტებით, არსებითი განხილვის დაწყებამდე ა. ბ. კვლავ შეუთანხმებლად გამოცხადდა მის ოფისში. ამ დროს ადვოკატი ი. პ. არ იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე და თანაშრომლების დახმარებით ა. ბ.-მ შეძლო საქმის მასალების მიღება.

3.11 ადვოკატის განცხადებით, საქმის არსებითი განხილვის დღეს, სასამართლო პროცესზე ადვოკატისთვის ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულს იმავე დღეს შეტანილი ჰქონდა სასამართლოში განცხადება. განცხადების მიხედვით სხვა ადვოკატის აყვანის მოტივით მოთხოვნილი იყო სხდომის სხვა დროისთვის გადადება. ადვოკატისთვის მსგავსი განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა ვინაიდან, ბრალდებულის მიერ შეთანხმებით მოწვეული სხვა ადვოკატის პროცესზე გამოცხადებით, ადვოკატი ი. პ. ისედაც დააყენებდა შუამდგომლობას მისი საქმის წარმოებიდან ჩამოშორების შესახებ. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულის შემდეგ მას აღარ ჰქონდა ურთიერთობა ბრალდებულთან.

3.12 ადვოკატის განმარტებით, უსაფუძვლოა მის მიმართ წაყენებული პრეტენზია ბრალდებულისთვის მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებაზე. საპროცესო შეთანხმება წარმოადგენდა ადვოკატის მხრიდან ერთ-ერთ შეთავაზებულ ვარიანტს, ვინაიდან, ადვოკატი თვლიდა, რომ ბრალდების მხარისაგან საქმეში წარმოდგენილი იყო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა სასამართლოსთვის დ. ბ.-ისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. აღნიშნულიდან გამომდინარე ადვოკატმა საჭიროდ ჩათვალა აეხსნა ბრალდებულისთვის საპროცესო შეთანხმების არსი.

3.13 შემთხვევის ადგილზე მისვლასთან დაკავშირებულ პრეტენზიაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილი დათვალიერდა და ოქმი შედგა 2013 წლის 12 მარტს, რომლის შედეგადაც ამოიღეს შავი ფერის ნაჭრის ქუდი. იგი მოათავსეს პოლიეთილენის სპეციალურ პაკეტში და დალუქეს ლუქით სიდ. ---. ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეში ჩაერთო 2013 წლის 08 აპრილს, რა დროსაც მომხდარი ფაქტიდან თითქმის ერთი თვე იყო გასული. ადვოკატის განმარტებით, ადგილზე მისვლას პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა და საქმისათვის რაიმე შედეგის მომტანი არ იქნებოდა. ბრალდებულის მამა, ა. ბ. ვერ მიუთითებდა თუ რა გარემოებების დადგენა იქნებოდა შესაძლებელი აღნიშნული ქმედებით.

3.14 რაც შეეხება პრეტენზიას - შუამდგომლობის დაყენება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ, აღნიშნულზე ადვოკატის განმარტებით, არსებობს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის კონკრეტული საფუძვლები, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო, სწორედ ამიტომ ადვოკატმა არ დააყენა მოცემული შუამდგომლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი ი. პ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

4.2 ი. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 12 ივნისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ი. პ.-მა საჩივრის ავტორის ძმა - დ. ბ. არ დაიცვა არსებითად სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ, არ უზრუნველყო საქმეზე მოწმეთა გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, არ დააყენა შუამდგომლობა გამომძიებლის მიერ შედგენილი დაკითხვის ოქმების მტკიცებულებებად დაუშვებლად ცნობის თაობაზე და ადვოკატი შემოიფარგლებოდა კლიენტისთვის მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებით.

6.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“.

6.3 დებულების მე-6 მუხლი ჩამოთვლის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს და მიუთითებს, რომ „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს; ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

6.4 განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ ი. პ.-ის მიერ საჩივრის ავტორის (ი. ბ.-ის) ძმის - დ. ბ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას. მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ სამართლებრივი

ურთიერთობა წარმოიშვა საჩივრის ავტორის ძმას - დ. ბ.-სა და ადვოკატ ი. პ.-ს შორის. საჩივრის ავტორისა და მოწმის განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა განეხორციელებინა საჩივრის ავტორის ძმის საქმეზე. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის მიერ ეთიკის კომისიისადმი მომართვის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მომართვაზე უფლებამოსილი იქნება ის პირი, ვისაც ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო უშუალოდ მიადგა ზიანი და მისი უფლებების შესაძლო დარღვევა გამოიწვია. ადვოკატ ი. პ.-ის კლიენტს წარმოადგენს არა საჩივრის ავტორი - ი. ბ. ან ადვოკატთან კომუნიკაციაში მყოფი კლიენტის მამა - ა. ბ., არამედ დ. ბ.. შესაბამისად, საჩივრის პრეტენზიებიდან გამომდინარე, რაც ადვოკატ ი. პ.-ის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს უკავშირდება, უფლებამოსილი განმცხადებელია - დ. ბ..

6.5 ი. ბ.-ის საჩივარი შესაძლებელია გამხდარიყო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი, მაგრამ ადვოკატ ი. პ.-ის სადავო ქმედებების შესწავლისთვის პარალელურად უნდა არსებობდეს კლიენტის - დ. ბ.-ის პოზიცია. ადვოკატი ი. პ. საქმის განხილვაში სახელმწიფოს ხარჯზე საზოგადოებრივი ადვოკატის სტატუსით ჩაერთო, დ. ბ.-ის მამა და ძმა არ წარმოადგენდნენ მასთან ხელშემკვრელ მხარეებს, შესაბამისად საადვოკატო მომსახურების ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზიის გამოხატვა მხოლოდ კლიენტს შეეძლო ვის ინტერესებსაც ადვოკატი იცავდა. შესაძლებელია დ. ბ.-ის მამა - ა. ბ. საკუთარი შვილის საქმის წარუმატებლობის გამო თავს თვლიდეს დაზარალებულად, მაგრამ რეალურად ის პირი, ვისაც შეუძლია ადვოკატის მხრიდან საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ იდავოს არის დ. ბ., რომელსაც ეთიკის კომისიისთვის საჩივრით არ მოუმართავს. ეთიკის კომისიამ საკუთარი ინიციატივით მიმართა დ. ბ.-ს წერილობით, წარმოედგინა საჩივარში აღნიშნული პრეტენზიების თაობაზე საკუთარი პოზიცია და საპროცესო კოლეგიისთვის მოეწოდებინა ინფორმაცია ადვოკატის მიერ მისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების თაობაზე. დ. ბ. ეთიკის კომისიის მიერ მისთვის წერილის გაგზავნისას იმყოფებოდა თავისუფლებაში და მას შესაძლებლობა ჰქონდა ჩართულიყო საქმის განხილვის პროცესში. მიუხედავად აღნიშნულისა, დ. ბ.-ს ეთიკის კომისიისთვის არ მოუწოდებია თავისი პოზიცია საჩივარზე.

6.6 ადვოკატ ი. პ.-ის კლიენტის - დ. ბ.-ის პოზიციის არარსებობის პირობებში, ეთიკის კომისია ეყრდნობა პრეზუმფციას, რომ დ. ბ.-ს თავისი ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ აქვს და დაინტერესებული არ არის დისციპლინური საქმის წარმოებით. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივარი წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის (კლიენტის ძმის) მიერ, ამიტომ, ეთიკის კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო მომჩივანის - დ. ბ.-ის ინტერესების და პოზიციის გათვალისწინების გარეშე. ი. ბ. ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად მის

მიერ მითითებული პრეტენზიების ნაწილში.

6.7 საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორი, ი. ბ. მის მიერ დასახელებული პრეტენზიების ნაწილში არაუფლებამოსილი პირია, რის საფუძველზეც საპროცესო კოლეგია, საქმის არსებითი განხილვის გარეშე წყვეტს დისციპლინურ წარმოებას ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ.

6.8 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №065/13 ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/